


საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის

2021 წლის შემატარებული
საინფორმაციო
ჟურნალი



შინაარსი

01.

GAEN-ის შესახებ

02.

ქსელის წევრები

03.

2021 წლის მიმართულებები

04.

წარმატებული ისტორიები

05.

ზრდასრულთა განათლების
პაკეტი (ALP)

06.

შემუშავებული რესურსები

ჟურნალი მომზადებულია "არაფორმალური
ზრდასრულთა განათლების განვითარებისა და
გადღიერების მხარდაჭერა საქართველოში" პროექტის
ფარგლებში, რომელიც ხორციელდება სახალხო
უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის
საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV
International საქართველოს ოფისის მხარდაჭერით

განმარტებები

GAEN - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი
LLL- სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე
ALP- ზრდასრულთა განათლების პაკეტი

GAEN -ი მადლობას უხდის დონორ ორგანიზაციებს, ქსელის
წევრ ცენტრებს, ადმინისტრაციას, ტრენერებს, ბენეფიციარებს
აქტივობების წარმატებულად განხორციელების
ხელშეწყობისთვის და აქტიური ჩართულობისთვის


ჟურნალში განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია
GAEN-ი. საავტორო უფლებები დაცულია.

**2021 წლის
საქმიანობის
ჟურნალი**



GAEN-ის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) 2014 წელს სახალხო უნივერსიტეტთან გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ორგანიზაცია აერთიანებს DVV International მიერ შექმნილ ზრდასრულთა და სათემო განათლების ცამეტ ცენტრს საქართველოს რვა რეგიონში: აჭარა, სამეგრელო-ზემო-სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი.



ორგანიზაციის მიზანია

საქართველოში ზრდასრულთა განათლების პრინციპების პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შესახებ და ზრდასრულთა განათლების ისეთი სისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვის.



ა(ა)იპ საერთაშორისო ზრდასრულთა განათლების ქსელი
N(N)LE Georgian Adult Education Network (GAEN)

GAEN-ის სამუშაო მიმართულებები:

01

ქსელის წევრი ცენტრებისა და მათი თანამშრომლების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მხარდამჭერი, სისტემატიზებული აქტივობების განხორციელება

02

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციისა და არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ქსელის წევრი ორგანიზაციების პოპულარიზების ხელშეწყობა

03

საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის დამყარება, გამოცდილების გაზიარება და დანერგვის ხელშეწყობა

04

ქსელისა და მისი წევრი ორგანიზაციების ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება

05

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

ამოცანა 1

ქსელის წევრი ცენტრებისა და მათი თანამშრომლების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მხარდამჭერი, სისტემატიზებული აქტივობების განხორციელება

ქსელის წევრი ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება მნიშვნელოვანი კომპონენტია GAEN-ის სტრატეგიული მიზნების მიღწევისა და წევრი ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის. მოცემული მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები ეყრდნობა ქსელის წევრი ცენტრების დირექტორთა გამოკითხვის მონაცემებს და მათ საჭიროებათა ანალიზს.

1.1 2021 წელს ქსელის წევრი ცენტრებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგები

- სტრატეგიული დაგეგმვა, მართვა, გაზიარებული ლიდერობა კომუნიკაციის ასპექტები.
- როგორ დავგეგმოთ/ შევიმუშაოთ და განვახორციელოთ არაფორმალური სასწავლო პროგრამა/სასწავლო გეგმა/აქტივობის გეგმა
- როგორ დავწეროთ და განვახორციელოთ ტრენინგ მოდული
- ზრდასრულთა განათლების მეთოდოლოგია. ორგანიზაციის ფორმები და სწავლების თანამედროვე მიდგომები (ვებინარები);




ამოცანა 1

ქსელის წევრი ცენტრებისა და მათი თანამშრომლების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მხარდამჭერი, სისტემატიზებული აქტივობების განხორციელება

1.1 მონაწილეთა მიერ ტრენინგების შეფასება

მონაწილეებმა ტრენინგი შეაფასეს შემდეგი კრიტერიუმებზე დაფუძნებით:



2021 წლის განმავლობაში ცენტრების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 100-მდე თანამშრომელმა



ამოცანა 1

ქსელის წევრი ცენტრებისა და მათი თანამშრომლების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მხარდაჭერი, სისტემატიზებული აქტივობების განხორციელება

1.2. ხარისხის უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემის დანერგვა

GAEN-მა 2021 წელს აქტიურად იმუშავა ქსელის წევრი ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები 2020 წელს დაიწყო და საპილოტე რეჟიმში ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ქსელისა და ჯვარის სათემო განათლების ცენტრისთვის შემუშავდა სპეციალური საოპერაციო პროცედურები(SOP) ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001 (PDCA ციკლი) მიხედვით. წელს დოკუმენტების პაკეტი მომზადდა კიდევ სამი ცენტრისთვის- ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრისთვის, ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ქსელისთვისა და ლელიანის ზრდასრულთა განათლების ქსელისთვის.

კონკრეტულად, აღნიშნულ ხუთ ცენტრში განხორციელდა:

- ძირითადი და დამხმარე პროცესების იდენტიფიცირება
- დამხმარე პროცესებისათვის ქვეპროცესებისა და პრიცედურების იდენტიფიცირება
- განისაზღვრა თითოეულ პროცესსა და პროცედურაზე პასუხისმგებელი პირი/ პოზიციცია;
- გაიწერა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობა
- შემუშავდა პერსონალის მართვის პოლიტიკა



GAEN-ი აქტიურად განაგრძობს ცენტრების მხარდაჭერას აღნიშნული პროცედურების განხორციელებისა და პრაქტიკაში დანერგვის პროცესებში.

ამოცანა 1

ქსელის წევრი ცენტრებისა და მათი თანამშრომლების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მხარდამჭერი, სისტემატიზებული აქტივობების განხორციელება

1.3. ქსელის წევრ ცენტრებთან კომუნიკაციის განვითარება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, გამოცდილების გაცვლა და „team building“-ი

ქსელის წევრი ზრდასრულთა და სათემო განათლების ცენტრები წლების განმავლობაში აგროვებენ უნიკალურ გამოცდილებას. აღნიშნული გამოცდილების გაზიარება და ეფექტიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქსელური მუშაობისთვის. აქტიური კომუნიკაცია ცენტრებს ეხმარებათ საქმიანობის გაუმჯობესებაში და ახალი იდეებისა თუ ხედვების ჩამოყალიბებაში. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია, როგორც დისტანციური ელექტრონული სისტემის გამოყენება, ასევე სამუშაო შეხვედრების ფორმატში ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა.

ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ქსელის წევრი 13 ცენტრისთვის დაიგეგმა შეხვედრა არაფორმალურ გარემოში- „team building“-ი
- წლის განმავლობაში დაორგანიზდა სამუშაო შეხვედრები გამოცდილების გაზიარებისა და სამომავლო აქტივობების დანერგვის საჭიროების მიზნით
- 2021 წელს მომზადდა და გაზიარდა კვარტალური საინფორმაციო ფურცლი/ პოსტერი
- განახლდა ერთიანი საინფორმაციო ბაზა
- ქსელის ელექტრონულ პლატფორმაზე განახლდა ადმინისტრაციული დოკუმენტები
- წლის მანძილზე GAEN-ი უწევდა კონსულტაციებს ცენტრებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს



ამოცანა 2

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციისა და არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ქსელის წევრი ორგანიზაციების პოპულარიზების ხელშეწყობა

2.1. ქსელის და წევრი ორგანიზაციების პოპულარიზება. საქმიანობის შესახებ მასალების მომზადება და გავრცელება

1. განახორციელდა ვებ.გვერდის (gaen.org.ge) რებრენდინგი და განახლდა ინფორმაცია ქსელის ოფიციალურ სოციალურ გვერდსა და ვებ . გვერდზე. გაიზარდა ჩართულობა (2500 მოწონებიდან - 10 000 მოწონებამდე).
2. მომზადდა საინფორმაციო ბიულეტენი.
3. შემუშავდა და დაიბეჭდა წლიური შემაჯამებელი საინფორმაციო ჟურნალი
4. მომზადდა საინფორმაციო მინი ვიდეორგოლი.
5. GAEN-მა მონაწილეობა მიიღო სატელევიზიო სიუჟეტში (TV პირველი)
- 6.ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მონყვლად ჯგუფებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან
7. GAEN-მა ორგანიზება გაუწია "შემოქმედებით კონკურსს" თემაზე- სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე (LLL);
8. მომზადდა და გავრცელდა ციფრული და ბეჭდური საინფორმაციო რესურსები (ფლაიერები და პოსტერები იხ. რესურსებში)
9. GAEN-ის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უკვე CSOgerogia.org - ზე.



2021 წლის საინფორმაციო ბიულეტენი



საინფორმაციო ვიდეორგოლი



2021 წლის შემაჯამებელი
საინფორმაციო ჟურნალი

შემოქმედებითი კონკურსის გამარჯვებულები



სოფია ქიტუაშვილი
I ადგილი



ილია გვარამია
II ადგილი



ნათია ჯვარიძე
III ადგილი

ამოცანა 2

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციისა და არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ქსელის წევრი ორგანიზაციების პოპულარიზების ხელშეწყობა

2.2. წლის შემატამებელი ღონისძიება

ტრადიციულად გაიმართა კონკურსის „2021 წლის საუკეთესონი“- ს გამოვლენილი გამარჯვებულების დაჯილდოვება. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შემდეგ ნომინაციებში:

- წლის საუკეთესო ზრდასრულთა განათლების ცენტრი;
- წლის საუკეთესო ბენეფიციარი;
- წლის საუკეთესო ტრენერი;
- წლის საუკეთესო პარტნიორი მუნიციპალიტეტი;

ღონისძიებას დაეწრნენ თემატიკით დაინტერესებული პირები, მედიის წარმომადგენლები. ადგილობრივი და საერთაშორისო მოწვეული სტუმრები.

საზეიმოდ გადაეცათ სერტიფიკატები ფოტოკონკურსის გამარჯვებულებსაც. მადლობის სიგელით დაჯილდოვდნენ პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ განმახორციელებელი პირები: მზია თოდრია და ანა კალაიჭიშვილი, პროგრამის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.

პროექტის შემატამებელ ღონისძიებაზე ყველა ცენტრისთვის მოეწყო საჩვენებელი მაგიდა, სადაც გამოფენილი იყო ცენტრების რესურსები და მათ მიერ სხვადასხვა კურსების ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები.



ამოცანა 3

საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის დამყარება, გამოცდილების გაზიარება და დანერგვის ხელშეწყობა


3.1. ზრდასრულთა განათლების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი აქტიურად მუშაობს პარტნიორების მოზიდვასა და თანამშრომლური ურთიერთობების გაძლიერებისათვის. ქსელი, ევროპის ზრდასრულთა განათლების ასოციაციის წევრია, რაც მას საშუალებას აძლევს ითანამშრომლოს საერთაშორისო პარტნიორებთანაც. 2021 წელს GAEN-ი აქტიურად ესწრებოდა ასოციაციის მიერ დაგეგმილ კონფერენციებს, ტრენინგებს და ვორქშოპებს.

2021 წელს GAEN-მა აქტიურად ითანამშრომლა ევროპულ ზრდასრულთა განათლების ცენტრებთან, რაც მნიშვნელოვანი იყო თანამედროვე მიდგომებისა და პრაქტიკის გაზიარებისთვის.

განხორციელდა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები ახალ ორგანიზაციებთან სამომავლო თანამშრომლობის პერსექტივით.

ასევე, GAEN-ის გუნდი, მიწვეულ იქნა გერმანული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ - Wurzburg winter school -ში, რაც მიზნად ისახავს გუნდის კვალიფიკაციის, ცოდნის განახლებას და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას.




საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობის დამყარება, გამოცდილების გაზიარება და დანერგვის ხელშეწყობა

3.2. არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა სტანდარტის შემუშავება.

ზრდასრულთა განათლების მიმართულებით ერთიანი სტანდარტი და მიდგომების საკანონმდებლო ჩარჩო საჭიროებს დახვეწას ჩვენს ქვეყანაში. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია, გავიზიაროთ გამოცდილება იმ ორგანიზაციების, რომლებიც მუშაობენ ანდრაგოგიკის და არაფორმალური განათლების მიმართულებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია გავიზიაროთ საერთაშორისო გამოცდილებაც. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, ვებინარები და ვორქ-შოუები საერთაშორისო პარტნიორებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან/ექსპერტებთან არაფორმალური ზრდასრულთა განათლების სტანდარტების/სტრატეგიების გაცნობისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით. განხორციელდა შესაბამისი ექსპერტების და ადგილობრივი მომიჯნავე დარგის მოხალისე ორგანიზაციების მოძიება, რომლებთან თანამშრომლობითაც GAEN-მა დაიწყო მუშაობა არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა სტანდარტზე.

განხორციელებული აქტივობები:

1. შემუშავდა დოკუმენტის ჩარჩო - GAEN-ის არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შიდა სტანდარტი, რომლის დანერგვასაც ქსელი სამომავლოდ გეგმავს თავის ცენტრებში.




ქსელისა და მისი წევრი ორგანიზაციების ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება


4.1 ზრდასრულთა განათლების ცენტრების საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის მოძიება

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი წევრ ორგანიზაციებს მხარდაჭერას უწევს მათი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის სათანადო ფინანსების მოზიდვაში. ქსელი გეგმვას ადგილობრივ და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით მოიპოვოს დაფინანსება, რომელიც ქსელის წევრ ცენტრების პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

ქსელი აქტიურად ერთვება მოპოვებული პროექტების განხორციელების პროცესშიც და ადმინისტრაციული საქმიანობის თავის თავზე ალების გზით დროის და ადამიანური რესურსის დაზოგვის საშუალებას აძლევს ცენტრებს. ამასთან ერთად ამარტივებს კომუნიკაციის პროცესს როგორც ცენტრებისთვის ასევე დონორი თუ გრანტის გამცემი ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის.




ქსელისა და მისი წევრი ორგანიზაციების ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფის აქტივობების განხორციელება




4.2. ცენტრების აღჭურვა სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად

იქიდან გამომდინარე, რომ GAEN-ის წევრ ცენტრებში აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესი მნიშვნელოვანია შექმნილი იყოს უსაფრთხო სასწავლო გარემო. GAEN-მა 2020-2021 წლებში ფინანსურად უზრუნველყო ქსელის წევრი ცენტრების აღჭურვა სახანძრო უსაფრთხოების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.



ასევე, 2021 წელის GAEN-მა უზრუნველყო ტრენინგები ადმინისტრაციული პერსონალისა და სხვა ყველა პასუხისმგებელი პირებისთვის:
- "სახანძრო უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება"



პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა ქსელის წევრ ცენტრებში GAEN-ის 2021 წლის პრიორიტეტული მიმართულება იყო. ქსელმა პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ განხორციელების უფლება 2020 წელს 9 ლოკაციაზე მოიპოვა. უფლების მოპოვებიდან დღემდე მიღებულ იქნა 9 ჯგუფი პროგრამის განხორციელების 5 ლოკაციაზე (ახალციხე, ჩოხატაური, ლელიანი, ჯვარი, ამბროლაური). გაიცა 22 სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და 3 ჯგუფისთვის ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. ამ ამოცანის განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე GAEN-მა დამატებით ცალკე შეიმუშავა ამოცანის შესრულების ოპერაციული გეგმა.

2021 წლის ოპერაციული გეგმის ამოცანები:

ამოცანა 1

არსებული პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელება და განვითარება

ამოცანა 2

პროფესიული მომზადებიდან და პროფესიული გადამზადების პროგრამების სპექტრის გაფართოება

ამოცანა 3

ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება

ამოცანა 4

პერსონალის განვითარება

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

ამოცანა 1. -ისტვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1.1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადება ცენტრების მიხედვით

შესრულების მტკიცებულებები:

ოპროფესიული მომზადების პროგრამაზე „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა-გრაფიკი

იმოხსენებითი ბარათები

ოდირექტრის ბრძანება მიღების შესახებ

იგანათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები

ისაინფორმაციო/ საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრები ცენტრების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მომზადების პროგრამის სასწავლო პროცესზე ადგილზე პასუხისმგებელ პირებთან.

1.2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევა

შესრულების მტკიცებულებები:

იმოხსენებითი ბარათი მიმღების კომისიის შექმნის შესახებ

იბრძანება მიმღების კომისიის შექმნის შესახებ

ისაინფორმაციო შეხვედრა კომისიის წევრებთან

იპროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების ფორმა

იმიმღების კომისიის სხდომის ოქმები

1.3. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვა

შესრულების მტკიცებულებები:

იმოხსენებითი ბარათი მსმენელთა ჩარიცხვაზე

იბრძანება მსმენელთა ჩარიცხვაზე

იგანათლების მართვის საინფორმაციო

სისტემის მონაცემები (tvet.emis.ge)

ისაინფორმაციო შეხვედრა მსმენელებთან

და საჭირო რესურსების მიწოდება



პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.



1.4. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა მეცადინეობის დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა

შესრულების მტკიცებულებები:

იმოხსენებითი ბარათი მეცადინეობის განრიგის დამტკიცებაზე

• ბრძანება მეცადინეობის განრიგის დამტკიცებაზე

ისასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მტკიცებულებები:

სააღრიცხვო ფურცლები, მსმენელთა პორტფოლიოები

1.5. მსმენელთა მხარდაჭერის აქტივობები

შესრულების მტკიცებულებები:

მსმენელთა მხარდაჭერის სერვისები და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი

ისაინფორმაციო შეხვედრა მსმენელებთან და საჭირო რესურსების მიწოდება

1.6. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შეფასების პროცესის ადმინისტრირება

შესრულების მტკიცებულებები:

• განმსაზღვრ. შეფასების განრიგი

იმოხსენებითი ბარათი საგამოცდო კომისიის შექმნაზე

• ბრძანება საგამოცდო კომისიის შექმნაზე

• შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის შევსებული კითხვარი

• მსმენელთა შეფასების მტკიცებულებები

• საგამოცდო კომისიის ოქმები

• შეფასების უწყისები

• განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები



1.7. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა სერტიფიკატების მომზადება


შესრულების მტკიცებულებები:

იმოხსენებითი ბარათი სერტიფიკატის გაცემაზე

• ბრძანება სერტიფიკატების გაცემაზე

• იხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, სერტიფიკატის დაბეჭდვაზე

• იდაბეჭდილი სერტიფიკატები



ამოცანა 5.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

პროგრამის განვითარება

1.8. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება

შესრულების მტკიცებულებები:

იმასწავლებელთა თვითშეფასების შევსებული კითხვარები

იმსმენელთა მიერ მასწავლებლების შეფასების შევსებული კითხვარები

ოკითხვარების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება

1.9. მსმენელთა კმაყოფილების კვლევა

შესრულების მტკიცებულებები:

იმსმენელთა მიერ ქსელის სერვისები, საწავლო პროცესის, რესურსებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასების შევსებული კითხვარები

ოკითხვარების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება

1.10 კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა

შესრულების მტკიცებულებები:


ოკურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის შევსებული კითხვარები

ოკითხვარების ანალიზი და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება

1.11 პროფესიული მომზადების პროგრამაში ცვლილებების განხორციელება

შესრულების მტკიცებულებები:

ოინიცირებები პროგრამის განვითარების მიზნით



ამოცანა 5.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

ამოცანა 2. -ისტვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2.1 ახალი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ინიცირება

შესრულების მტკიცებულებები:

იახალი პროგრამების ინიცირების წერილები

იპროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება

2.2. ახალი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის შემუშავება

შესრულების მტკიცებულებები:

იმოხსენებითი ბარათი სამუშაო ჯგუფების შექმნაზე

იბრძანება სამუშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ

ისამუშაო ჯგუფების ანგარიში

იორი პროფესიული მომზადების პროგრამის

შემუშავებული პროექტი (ბუღალტერიისა და

კულინარიის მიმართულებით)



ამოცანა 5.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.

ამოცანა 3. -ისტვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

3.1. მსმენელთა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია

შესრულების მტკიცებულებები:

- o ვერიფიკატორთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა
- o ირისკების ანალიზის დოკუმენტი
- o ვერიფიკაციის განრიგი
- o ვერიფიკაციის დასკვნა
- o რეკომენდაციები პროცესის გაუმჯობესებისათვის



3.2 ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება

შესრულების მტკიცებულებები:

- o პერსონალის თვითშეფასების შევსებული კითხვარები
- o პერსონალის მუშაობის შეფასების შევსებული კითხვარები
- o კითხვარების ანალიზის დოკუმენტი და გაუმჯობესების რეკომენდაციები



3.3 ადმინისტრაციული პროცესების შეფასება

შესრულების მტკიცებულებები:

- o ადმინისტრაციული პროცესების მიმდინარეობის შეფასების ანალიზის დოკუმენტი
- o პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები



ამოცანა 5.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა და მხარდაჭერა ქსელის წევრ ორგანიზაციებში.


ამოცანა 4. -ისტვის განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი ცენტრების პერსონალის განვითარებისთვის წლის განმავლობაში ტრენინგები დაიგეგმა შემდეგ თემებზე:

- Ø სწავლების აქტიური მეთოდები
- Ø კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება
- Ø შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფა
- Ø ადმინისტრაციული პროცესების მართვა

შესრულების მტკიცებულებები:


- იტრენინგის გეგმა
- იტრენინგზე დასწრების მტკიცებულება (დასწრების ფურცელი/რეესტრი, ფოტო, სხვა)
- იტრენინგისთვის მომზადებული მასალები და რესურსები
- იტრენინგის მონაწილეებისთვის გაცემული სერტიფიკატები



ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში

DWV International-ის საქართველოს ოფისი 2005 წლიდან აქტიურად არის ჩართული ზრდასრულთა /სათემო განათლების ცენტრების დაარსებაში. ამჟამად, საქართველოს 8 რეგიონში ფუნქციონირებს 13 ზრდასრულთა/სათემო ცენტრი: ქვემო ქართლში კოდის და შაუმიანის სათემო და ბოლნისის ზრდასრულთა განათლების ცენტრები, კახეთში ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, სამეგრელოში ჯვარის და სენაკის სათემო განათლების ცენტრები, გურიაში ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, აჭარაში ქედის სათემო განათლების ცენტრი, სამცხე-ჯავახეთში ახალქალაქის და ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრები, რაჭაში ამბროლაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრი და იმერეთში ხარაგაულის ზრდასრულთა და ხონის სათემო განათლების ცენტრები.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში - ჩარჩო პირობები



საქართველოში ზრდასრულთა განათლების ცენტრებს აქვთ მნიშვნელოვანი დანიშნულება არსებული გამოწვევების გამკლავებაში, როგორებიცაა მასობრივი უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა, კონფლიქტი და არასტაბილურობა და სოციალური გარიყულობა. თემებში დაფუძნებული ცენტრები არიან მოქნილები და სწრაფად პასუხობენ საზოგადოებისა და ადამიანების ცვალებად საჭიროებებს გლობალიზაციის, გაფიცრულების, დემოგრაფიული ცვლილებებისა და ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ. პანდემიის პირველი ტალღის დროს ცენტრებმა უმოკლეს ვადაში მოახერხეს საკუთარი პროგრამების ონლაინ რეჟიმში ადაპტირება და მოერგნენ არსებულ ვითარებას. ისინი უზრუნველყოფენ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს განურჩევლად სქესისა, ასაკისა, სოციალური სტატუსისა, რელიგიისა, იდეოლოგიისა თუ ეროვნებისა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში

ზრდასრულთა განათლების ჰოლისტურ გაგებაზე დაფუძნებით ცენტრები ბენეფიციარებს სთავაზობენ ზრდასრულთა განათლების მრავალკომპონენტიან პაკეტს, რომელიც მოიცავს:

- პიროვნული განვითარების პროგრამები (უნარები და კომპეტენციები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში და აქტივობებში: ენები, IT კურსები, მეწარმეობა, ბუღალტერია, სამუშაოს მოძიების უნარები, წარმატებული კომუნიკაციისა და პრეზენტაციის, მეწარმეობისა და კონფლიქტის მართვის უნარები და ა.შ.);
- სახელობო განათლება (30-მდე მოკლევადიანი სახელობო კურსი, რომლებიც დაფუძნებულია „სწავლა კეთებით“ მეთოდოლოგიაზე;
- კულტურული განათლება (გამოფენები, ლექციები ხელოვნების ისტორიაზე, ვორქშოპები, ფილმების ჩვენება და დისკუსიები, ვიზიტები თეატრებში, შეხვედრები მსახიობებთან, მწერლებთან, რეჟისორებთან, ექსკურსიები და ა.შ.);
- სამოქალაქო განათლება (საჯარო ლექციები, დისკუსიები და დებატები, ტრენინგები ადვოკატირებასა და ლობირებაში, აქტიური მოქალაქეობის კლუბები, ტრენინგები ეკოლოგიური ცნობიერების, გენდერული და სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ, მოხალისეობის კულტურის განვითარება და ა.შ.);
- ფინანსური განათლება (ტრენინგები ოჯახებისთვის თამაშებისა და პოპულარული განათლების მეთოდოლოგიის გამოყენებით და საზოგადოების წევრებისთვის რეგულარული საკონსულტაციო მომსახურება ბანკებთან ურთიერთობის, სესხებისა და კრედიტების, ოჯახის დანაზოგების შესახებ და ა.შ.);
- სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება.

2006 წლიდან 200,000-ზე მეტმა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი ზრდასრულთა განათლების ცენტრების მიერ მიწოდებული სერვისებისგან, მათ შორის არიან იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები და ა.შ.



ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში

ზრდასრულთა განათლების ცენტრების უმთავრესი მიღწევა, რამაც სარგებელი მოუტანა არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ მთელ ქვეყანას, არის დასაქმებული, თვითდასაქმებული, დანინაურებული და ის ადამიანები, რომელთაც შეძლეს სამსახურის შენარჩუნება ცენტრების პიროვნული განვითარებისა და სახელობო კურსების საშუალებით. ცენტრების მიერ შეთავაზებული მოკლევადიანი სახელობო და პიროვნული კურსები დასაქმების შესაძლებლობას აძლევს იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ სპეციფიური მიზნები და მოკლე დროში სურთ ახალი უნარების შეძენა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრებმა თემებს მოუტანეს იმედი და ნდობა; ცენტრებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში.


ცენტრები იძულებით გადაადგილებულ პირებს დაეხმარნენ ტრავმულ გამოცდილებასთან გამკლავებაში;

იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრები წარმოდგენილი არიან იმ ლოკაციებზე, სადაც სოციალური ცხოვრება არაა აქტიური და მრავალფეროვანი, ცენტრები იქცნენ ადამიანების შეკრების, ინფორმაციის გაცვლისა და სხვადასხვა მრავალფეროვანი საჯარო აქტივობების ჩატარების ადგილად.

ცენტრები ასრულებენ ადგილობრივი სამთავრობო და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას.

და ბოლოს, ცენტრები გადაიქცნენ სერიოზულ კატალიზატორებად სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებისთვის.

ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში: გავლენის ჯაჭვი



ზრდასრულთა განათლების ცენტრები საქართველოში

ზრდასრულთა განათლების ცენტრები და სოციალური საწარმოები

ფინანსური დამოუკიდებლობისა და მდგრადობის მიზნით, ზრდასრულთა განათლების ცენტრებში შეიქმნა სოციალური საწარმოები.

რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი:

- შეიქმნა დამატებითი სამუშაო ადგილები (დაახლოებით 25) ადგილობრივი მოწყვლადი მოსახლეობისთვის.
- შემოსავლის ნაწილის ინვესტირება ხდება ცენტრების საგანმანათლებლო აქტივობებში, რისი საშუალებითაც ცენტრებს შესაძლებლობა ეძლევათ აღნიშნული სერვისები ბენეფიციარებს მიაწოდონ უფასოდ;
- არსებობს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ სოციალურ საწარმოებს შეუძლიათ გაზარდონ ეკონომიკური საქმიანობა სამიზნე რეგიონებში და ხელი შეუწყონ ახალი ბიზნესების წამოწყების სტიმულირებას თემის სხვა წევრების მიერ;
- სოციალური საწარმოების დაარსება ხელს შეუწყობს თავად სოციალური საწარმოს კონცეფციის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გაგებული საქართველოში.



წარმატებული ისტორია მზია თოდრია

მომზადება/გადამზადების პროგრამის
განმახორციელებელი



მზია თოდრია ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის სამკერვალო კურსის ტრენერია, რომელიც 2020 წლიდან ასევე, არის პროფესიული მომზადების პროგრამის "მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა" განმახორციელებელი პირიც.

1970 წელს დაამთავრა ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკური სპეციალობით „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია“ და მიიღო ტექნიკ-ტექნოლოგის სტატუსი.

1970 – 1976 წლებში იმუშავა ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში ინსტრუქტორად.

1983 წელს დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი სპეციალობით „სამკერვალო ნაწარმის ტექნოლოგია“. მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის სტატუსი.

1983-1994 წლებში უშაობდა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც ასწავლიდა კერვას.

1994-2019 წლებში მუშაობდა ბუკისციხის საჯარო სკოლაში. სადაც ასწავლიდა საყოფაცხოვრებო შრომას და ხელოვნებას V-X კლასებს.

პარალელურად 2016 წლიდან დღემდე მუშაობა ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრში. მსუბუქი მრეწველობის სფეროში აქვს დაახლოებით 50 წლიანი მუშაობის გამოცდილება.

"ვინაიდან მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ზრდასრულებთან მუშაობა და ჩემი გამოცდილების გაზიარება საჭიროებასთან ერთად საინტერესოცაა - ძალიან ბევრი ქალბატონი დასაქმდა კურსების გავლის შემდეგ კერძო პრაქტიკით.

მოკლევადიანი პროგრამები ბენეფიციარებს აძლევს საბაზისო ცოდნას.

გარდა დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობისა, კურსდამთავრებულები ერთმანეთთან აგრძელებენ ურთიერთობას.

ჩოხატაური ისეთი რაიონია, სადაც კომუნიკაციის საშუალებები ძალიან ნაკლებია. ცენტრის პროგრამები გარდა პროფესიის დაუფლების შესაძლებლობისა, ხელს უწყობენ სოციალურ მათ ინტეგრირებას. კომუნიკაციების უნარების ჩამოყალიბებას, ემპათიის გრძნობის განვითარებას და სხვა ბევრ უნარს."



წარმატებული ისტორია ანა კალაიჯიშვილი

მომზადება/გადამზადების პროგრამის
განმახორციელებელი



ანა კალაიჯიშვილი, ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრის სამკერვალო კურსის ტრენერია, რომელიც 2020 წლიდან ასევე, არის პროფესიული მომზადების პროგრამის "მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა" განმახორციელებელი პირიც.

1987 წლიდან მუშაობდა ახალციხის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში სამკერვალო სახელოსნოების უბნის ოსტატად. ამის შემდეგ 1999 წლიდანვე, დაიწყო მუშაობა საბაკალავრო პროგრამა - დიზაინის (სამოსის დიზაინის მოდულში) სასწავლო კურსების-განმახორციელებლად. პარალელურად 2011 წლიდან იყო ამავე უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი“ (IV და V საფეხური) ხელმძღვანელი და ამასთანავე მასწავლებელი.

ასევე 2006 წ-დან დღემდე მუშაობს ახალციხის ზრდასრულთა განათლების ცენტრში ჭრ-კერვის კურსის პედაგოგად. მისი პედაგოგიური საქმიანობა უკვე 22 წელს ითვლის.

2015 წ. მარტში მონაწილეობა მიიღო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, "პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი“ კურიკულუმის შემუშავებაში.

2015 წ. ოქტომბერში გაიარა საგნობრივი ტრენინგი პროფესიულ პედაგოგთა კვალიფიკაციისა და უნარების განვითარებაზე, საგანმანათლებლო პროგრამის „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი“ ფარგლებში, საწარმოში - „სამოსელი პირველი“


2019 წ. ივლისში მონაწილეობა მიიღო მოდულის "მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა"-შემუშავების პროცესში.

"დღესდღეობით ვარ ზემოთაღნიშნული მომზადების პროგრამის "მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა"-განმახორციელებელი. ჩემთვის ამ პროგრამის განხორციელება მეტად საინტერესოა, რადგან მუშაობის პროცესში მიწევს მაქსიმალურად კონცენტრირება ძალიან კონკრეტულ სწავლის შედეგებზე, რაც მცირე დროში სწავლის შედეგის მიღების ეფექტურობას ზრდის. ვფიქრობ მოკლევადიანი პროგრამები უფრო მოქნილია, იძლევა შესაბამის და რეალურ კონკრეტულ შედეგს."



წარმატებული ისტორია ნინო ბანცაძე


მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი
პროგრამის კურსდამთავრებული




ნინო, პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ , ყველაზე „ახალგაზრდა“ კურსდამთავრებულია, 65 წლის, ლაგოდეხიდან. კერვისადმი ინტერესი ბავშვობიდან ჰქონდა, თუმცა პედაგოგიკაც აინტერესებდა და წლების მანძილზე რუსულ სკოლაში ბიოლოგიას ასწავლიდა, რომელიც სამწუხაროდ, მალევე დაიხურა. ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნინო 15 წელი თურქეთში იმყოფებოდა ემიგრაციაში. ახლა, საქართველოში დაბრუნდა, სულ ცოტა ხნის წინ და გადაწყვიტა ახალი ცხოვრება დაეწყო, 65 წლის ასაკში. სოციალურ ქსელებში პროგრამის შესახებ ინფორმაცია მოიძია, სწავლაც დაიწყო და წარმატებით დაასრულა. პროცესში, ბევრ ბარიერსაც წააწყდა, არარეგულარულ ტრანსპორტის განრიგი, კი მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან ნინოს 40 კილომეტრის დაფარვა უნევდა კურსზე დასასწრებად, კვირაში ორჯერ.

მოკლევადიან კურსს ნინო დადებითად აფასებს და განსაკუთრებით გამოჰყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს - მასწავლებლის კომპეტენციას, პროგრამის მოქნილობას , გუნდის დადებით დამოკიდებულებას და თბილ სათანადოდ აღჭურვილ სასწავლო გარემოს.

ნინოს სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმები აქვს და აპირებს თავისი პედაგოგიური გამოცდილება ამჯერად ჭრა-კერვის ცოდნის გაზიარებაში გამოიყენოს. აპირებს, სკოლებში არაფორმალური შეხვედრების სახით, დაინტერესებულ მოსწავლეებს, შეასწავლოს ჭრა-კერვის საბაზისო ტექნიკები და ამით მეტ ახალგაზრდას ჰქონდეს შესაძლებლობა, თავის ქალაქში- ლაგოდეხში, დაეუფლოს ჭრა-კერვას.




წარმატებული ისტორია ლელა და ნატო პარუნაშვილები მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამის კურსდამთავრებული



ლელა და ნატო აფენში მცხოვრები დები არიან, რომელთაც ბავშვობიდან აინტერესებდათ საკერავ ინსტრუმენტებთან მუშაობა, შემოქმედებითად დახარჯვა და სხვადასხვა ქსოვილებისგან პრაქტიკული ნივთების შეკერვა. ლელა და ნატომ პატარა სამკერვალო გახსნეს, სოფელ აფენში, ლაგოდეხის რაიონში, რადგან უნდოდათ თავიანთი საქმე ჰქონოდათ და ამავდროულად სოფელში მცხოვრები მოსახლეობისთვის სხვადასხვა მომსახურება შეეთავაზებინათ. თუმცა, რაღაც ეტაპზე მოთხოვნიდან გამომდინარე დებმა გადაწყვიტეს სამკერვალოს სერვისების გაფართოვება. თეთრეულის გარდა მსურველებს უკვე ტანისამოსის შეკერვა/ გადაკეთების მომსახურებაც შესთავაზეს.

სწორედ ამიტომ, ცოდნის გასაღრმავებლად და ახალი პრაქტიკული უნარების შესაძენად გადაწყვიტეს ლელიანის ზრდასრულთა განათლების ცენტრში პროფესიული მომზადების პროგრამის „მსუბუქი სამკერვალო ნაწარმის კერვა“ გავლა.

ამ პროგრამამ, ლელას და ნატოს, საშუალება მისცა თავიანთი სამკერვალოს მომსახურებები განეახლებინათ და ახლა უკვე შესაძლებლობა აქვთ, რომ, აფენში მცხოვრებ მოსახლეობას შესთავაზონ - ქალის, კაცის და ბავშვის ტანისამოსის შეკერვის სერვისი. სამომავლოდ გეგმავენ თავიანთი საქმიანობის კიდევ უფრო გაფართოვებას, პროგრამაზე მიღებულ ცოდნაზე დაფუძნებით.



რესურსები - საინფორმაციო პოსტერი



მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სტანდარტები



კოგნიტიური სფერო
პარამეტრული აღიქმა



სწავლის სფერო
მთელი ცხოვრების მანძილზე
საკუთარ საჭიროებაზე
ორიენტირებული აღიქმა



ემოციონალური სფერო
მზრუნველი, ემპათიური აღიქმა



სამოქალაქო სფერო
მთელი სამოქალაქო
პასუხისმგებლობის
მქონე მოქალაქე



გლობალური სფერო
გლობალური პასუხისმგებლობის
მქონე აღიქმა



კვალიფიკაციის სფერო
კვალიფიკაციის მრავალფეროვნების
ცნობიერების მქონე აღიქმა



ეკონომიკური სფერო
ხარისხისა და პროდუქტის
მნიშვნელობის და რესურსების
მართვა



საერთაშორისო ინფორმაციის ქსელი
N/JLE Georgian Adult Education Network (GAEN)

რესურსები - საინფორმაციო ფლაერი



**ა(ა)იკი საპარტველოს
ზრდასრულთა განათლების ქსელი**

**N(N)LE GEORGIAN
ADULT EDUCATION NETWORK (GAEN)**



(+995 32) 2 22 25 84

info@gaen.org.ge

www.gaan.org.ge

თბილისი, ანა კოლიტაშვილის ქ. 18

რა არის GAEN-ი?

ა(ა)იკი საპარტველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი (GAEN) 2014 წელს სახალხო უნივერსიტეტთან გაერგებული ასოციაციის საპარტველოსი თანამშრომლობის ინსტიტუტის DVV International საპარტველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ორგანიზაცია პარტნიოვებს DVV International შიდა შედეგულ ზრდასრულთა და საბავშვო განათლების ცენტრს. საპარტველოს რვა რეგიონში: აჭარა, სამეგრელო-ზემო-სამხეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი.

ორგანიზაციის მიზანი

საპარტველოში ზრდასრულთა განათლების პრიორიტეტის პოპულარიზაცია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შესახებ და ზრდასრულთა განათლების ისეთი სისტემის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც პასუხებს ევროპაში არსებულ გამოწვევებს და უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას საპარტველოში მცხოვრები ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისთვის.

GAEN-ის სამუშაო მიმართულებები:

- ქსელის წევრი ცენტრების ფინანსური და ინსტიტუციური გაძლიერების მხარდაჭერა;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კონცეფციისა და არაფორმალური ზრდასრულთა განათლების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;
- საპარტველოსი და ადგილობრივი პარტნიორებთან თანამშრომლობის დამყარება;
- ქსელის წევრ ცენტრებში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის მხარდაჭერა.

სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში

ზრდასრულთა განათლება

ზრდასრულთა განათლება არის საგანმანათლებლო პრაქტიკა, რომლის დროსაც ზრდასრულები ჩართული არიან სისტემაურ საგანმანათლებლო პროცესში, რომელიც მიმართულია თვითგანვითარებისკენ და მიზნად ისახავს ცოდნის ახალი ფორმის, უნარების, დასაქმების შესაძლებლობის ან/და ღირებულებების ფორმირებას.

პროფესიული მომზადების / გადამზადების პროგრამები

მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამები იმუშავებს ზრდასრულთა/საბავშვო განათლების ცენტრების, რეგიონების, ადგილობრივი თემისა და დასაქმებულის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მოკლევადიანი პროგრამები ხელს უწყობს ზრდასრულ ადამიანთან ექსპერტიზურ გაძლიერებას და დასაქმებას/თვითდასაქმებას განათლების გზით.

მოკლევადიანი მომზადებისა და გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსწავლს გადამცემა სახელმწიფოში მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

რა არის ზრდასრულთა განათლება?

ზრდასრულთა განათლება არის საგანმანათლებლო პრაქტიკა, რომლის დროსაც ზრდასრულები ჩართული არიან სისტემაურ საგანმანათლებლო პროცესში, რომელშიც მიმართულია თვითგანვითარებისკენ და მიზნად ისახავს ცოდნის ახალი ფორმის, უნარების, დამოკიდებულებების ან/და ღირებულებების ფორმირებას.

ზრდასრულთა განათლების საკვანძო პრინციპებია

- ზრდასრულთა განათლება წარმოადგენს საერთო და საზოგადოებრივ პროექტს, რომელიც ცვლის საზოგადოების ცხოვრებას;
- მაღალხარისხიანი ზრდასრულთა განათლების მიღება წარმოადგენს ყველას უფლებას და შესაძლებლობას;
- ზრდასრულთა განათლების საკვანძო მიზანია მოიზიდოს სპეციალური საჭიროების მქონე პირები, რათა ვუზრუვედყოთ ყველა სამიზნე ჯგუფისთვის ზრდასრულთა განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა;
- არაფორმალური მეთოდების და მეთოდოლოგიების გაძლიერება პასუხობს მსმენელების ქრეატიულობას, არსებულ ცოდნასა და უნარებს და უზრუვედყოფს შთაბამებელ სანდვლო პროცესს;

ზრდასრულთა განათლება აღაშენებს ცხოვრებას უფრო ბედნიერს და ამავედროულად ჯანსაღს ხელს.



რესურსები - ბრენდირებული მასალები



რესურსები - ბრენდირებული მასალები

**“Education is
learning
what you
didn't even
know you
didn't know „**

#GAEN

**“Today is the day
to Learn
Something New „**

#GAEN

**#სწავლა
მთელი
სიცოცხლის
მანძილზე**

#GAEN

**“Anyone who
keeps
learning
stays young „**

#GAEN

**“Today is the day
to Learn
Something New „**

#GAEN

რესურსები - ბრენდირებული მასალები



#ისწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე



#ისწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე



